



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კონკრეტული გვ. 1

კონკრეტული გვ. 1 ენციკლოპედიის „საქართველოს მთავარი სამეცნიერო რედაქცია“ მიზნით, რომ მოსავალი არ დასეტყვილიყო; არც თითისტარს დაატრიალებდნენ. გარდა ამისა, ყოველი ორშაბათი აღდგომიდან ამაღლებამდე ქარ-სეტყვის სანინააღმდეგოდ იყო შენირული. ძველად, თბილისში, გამოიცის პერიოდში (აღდგომიდან ამაღლებამდე) ამქრები უქმობდნენ, რიგ-რიგობით „საღვთო“, ანუ ღვთისა და წმინდანებისადმი სამადლობელ-სავედრებელ სუფრას იხდიდნენ, „საღვთოს“ ნაწილს პატიმრებს, ქვრივ-ობლებს და ხეიბრებს უგბავნიდნენ. მათი შეხედულებით, ამ რიტუალის შესრულება მოსავალს სეტყვისა და კალიებისაგან დაიცავდა. კახეთში ამ დღეს „კონიანობას“ უწოდებდნენ. ფრონეს ხეობაში (შიდა ქართლი) სოფ. დვანის სალოცავს ხალხი წმ. გიორგი კონიანობისას უწოდებდა, სადაც „კონიანობის“ დღეობა იმართებოდა.

კ-ის ჩატარების კალენდარულ დღედ 7 მაისი (ძვ. სტ) ითვლებოდა, რ-იც საეკლ. ტრადიციით ჭვარჩინების დღეა. ხალხ. წარმოდგენებით, ამ დღეს მოსულ წვიმას სასწაულებრივი სამკურნალო და გამანაყოფიერებული ძალა გააჩნდა.

ლიტ.: ა ბ ა კ ე ლ ი ა ნ., ა ლ ა ვ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ქ., ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991; ა ლ ა ვ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ქ., ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა,

თბ., 2018; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ფრონეს ხეობა, თბ., 1963.

**გ. ჩინჩალაძე**

---